# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 209

ქალაქი ქუთაისი 7 ივლისი 2023 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

**მუხლი** 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში, კერძოდ, ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №216-№218 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი** 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი** 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი** 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. №
7 - 07 - 2023 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 7 ივლისის №209 განკარგულების
დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

| № | ქონების დასახელება | მისამართი | ფართობი (კვ.მ.) | სარეგისტრაციო ნომერი | საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი) | აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ) | სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 216 | არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობით | ქალაქი ქუთაისი, იოანე პეტრიწის ქუჩის (ყოფილი ზუაჩიძის ქუჩა) II შესახვევი, №3 | მიწა – 3119.00 კვ.მ.; შენობა–ნაგებობა №1- №4 | 03.02.25.191 | მიწის ფასი – 130.00 1 კვ.მ.-ზე | უპირობოდ | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 217 | არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობით | ქალაქი ქუთაისი, ასათიანის ქუჩა №96, ნაკვეთი №3; ასათიანის ქუჩა №96, ნაკვეთი №4-1; ასათიანის ქუჩა №96, ნაკვეთი №4-2; | მიწა 72836.00 კვ.მ.; შენობა–ნაგებობა №1- №11 | 03.04.32.761 | 85 550. 00 | მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობების დაშლა-გატანის პირობით | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 218 | არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობით (მიწისქვეშა ნაგებობა) | ქალაქი ქუთაისი, ასათიანის ქუჩა №96 | მიწა – 1299.00 კვ.მ. მიწისქვეშა ნაგებობა №1 | 03.04.33.065 | მიწის ფასი – 160.00 1 კვ.მ.-ზე | ფუნქციური დანიშნულების შენარჩუნების პირობით | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის ვადაში |

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია